

შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის მიხედვით

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული.....	18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები ვარაუდები და დაშვებები.....	19
6. ძირითადი საშუალებები	20
7. არამატერიალური აქტივები	21
8. მარაგები	21
9. დებიტორული დავალიანება	21
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	22
11. კაპიტალი	22
12. კრედიტორული დავალიანება	22
13. იჯარები.....	23
14. მიღებული სესხი	24
15. ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	24
16. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	25
17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	25
18. დაბეგვრა	25
19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები	26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტზელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

9 ივნისი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

9 ივნისი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,907	9,868
არამატერიალური აქტივები	7	83	194
აქტივის გამოყენების უფლება	13	313	135
		8,303	10,197
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	1,690	1,081
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		192	627
დებიტორული დავალიანება	9	1,254	1,252
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	46,751	36,580
		49,887	39,540
სულ აქტივები		58,190	49,737
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	15,244	15,244
დაგროვილი ზარალი		(5,258)	(2,078)
სულ კაპიტალი		9,986	13,166
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	242	205
საიჯარო ვალდებულებები	13	168	38
		410	243
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12	47,189	35,820
სესხები	14	301	223
საიჯარო ვალდებულებები	13	170	143
საოპერაციო საგადასახადო ვალდებულებები		134	142
		47,794	36,328
სულ ვალდებულებები		48,204	36,571
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		58,190	49,737

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-28 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 9 ივნისს:

დიმიტრი ლომჯარია

დირექტორი

2022 წლის 9 ივნისი

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,907	9,868
არამატერიალური აქტივები	7	83	194
აქტივის გამოყენების უფლება	13	313	135
		8,303	10,197
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	1,690	1,081
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		192	627
დებიტორული დავალიანება	9	1,254	1,252
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	46,751	36,580
		49,887	39,540
სულ აქტივები		58,190	49,737
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	15,244	15,244
დაგროვილი ზარალი		(5,258)	(2,078)
სულ კაპიტალი		9,986	13,166
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	242	205
საიჯარო ვალდებულებები	13	168	38
		410	243
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12	47,189	35,820
სესხები	14	301	223
საიჯარო ვალდებულებები	13	170	143
საოპერაციო საგადასახადო ვალდებულებები		134	142
		47,794	36,328
სულ ვალდებულებები		48,204	36,571
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		58,190	49,737

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-28 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 9 ივნისს:

დიმიტრი ლომჯარია

დირექტორი

2022 წლის 9 ივნისი

შენიშვნები 9-28 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი		10,230	10,217
ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		1,206	1,342
სულ შემოსავალი	15	11,436	11,559
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16	310	304
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	17	(4,804)	(4,334)
ცვეთა და ამორტიზაცია	6; 7; 13	(2,470)	(2,341)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(7,632)	(6,943)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი		(3,160)	(1,755)
საპროცენტო ხარჯი		(41)	(52)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება		21	16
ზარალი დაბეგვრამდე		(3,180)	(1,791)
მოგების გადასახადის ხარჯი	18	-	-
წლის ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი		(3,180)	(1,791)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 11)	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2019	15,244	(287)	14,957
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(1,791)	(1,791)
31 დეკემბერი 2020	15,244	(2,078)	13,166
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(3,180)	(1,791)
31 დეკემბერი 2021	15,244	(5,258)	9,986

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(3,180)	(1,791)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6; 7; 13	2,470	2,344
მოგება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		346	114
ფინანსური ხარჯი		53	70
ანარიცხის ხარჯები	16	73	33
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ცვლილებები მარაგებში		(609)	2,956
ცვლილებები გადახდილ ავანსებსა და სხვა მოკლევადიან აქტივებში		435	(111)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში		(75)	(370)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში და საოპერაციო საგადასახადო ვალდებულებებში		11,361	9,879
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		10,874	13,124
გადახდილი პროცენტი		(50)	(71)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		10,824	13,053
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(561)	(2,273)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	7	(11)	(9)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		1	1
საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხის გატანა		(571)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(561)	(2,281)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	14	350	100
სესხების დაფარვა	14	(236)	(192)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა		(196)	(114)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(82)	(206)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		10,171	10,566
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	10	36,580	26,014
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	10	46,751	36,580

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. შესავალი

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2006 წლის 7 მარტს დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა 106, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 205130464.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს გადახდის მომსახურებას სალაროების ან თვითმომსახურების ტერმინალების მეშვეობით, ასევე თვითმომსახურების ტერმინალების ტექნიკურ მომსახურებას, რაც წარმოადგენს კომპანიის ძირითად საქმიანობას

კომპანიის სრული მფლობელია სს „ჯორჯიან ქარდი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ხოლო ძირითადი მაკონტროლებელი მხარეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დაუმტკიცებია მფლობელს. მფლობელი უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანია წარადგენს შესადარის ინფორმაციას მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ყველა თანხობრივ მაჩვენებელსა და წინა წელს არსებულ მონაცემების გათვალისწინებით – 2021 დასრულებული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთგვაროვნად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, შემოსავლების სტაბილურობა, წმინდა მიმდინარე აქტივების ოდენობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანია ორი წელია ზარალაზეა, თუმცა მისი წმინდა კაპიტალი დადებითი მაჩვენებელია და შეადგენს 9,986 ლარს, გარდა ამისა როგორც 21-ე შენიშვნაშია მოცემული კომპანიამ ხელახლა მიიღწია შეთანხმებას თავისი ძირითადი საქმიანობის (ტრანზაქციები თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის მეშვეობით) საფასურზე და შეცვალა უცვლელი განაკვეთი მრავალგანხორციელებიანი გადახდის განაკვეთით. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მისი რეალიზება მოსალოდნელია, ან მისი გაყიდვა ან მოხმარება გადაწყვეტილია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მისი რეალიზება მოსალოდნელია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ შეზღუდული არ არის მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დაფარვას დაექვემდებარება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

კომპანია ყველა დანარჩენ ვალდებულებას „გრძელვადიან ვალდებულებად“ თვლის. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად ითვლება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები	10
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	5
სხვა აღჭურვილობა	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ხუთ წლამდე ვადით ან შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და, შესაბამისად, კორექტირება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება. თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები შეიძლება მოიცავდეს მოხსნილ ძირითად სათადარიგო ნაწილებს. ასეთ აქტივებს ერიცხება ცვეთა, ვინაიდან ისინი დამონტაჟებულია თვითმომსახურების ტერმინალებზე.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)
ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივების აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების ხუთიდან შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში გაუფასურების ნიშნების არსებობისას ხდება. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მხარდაჭერასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწვევითანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯების (რომლებიც ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული კომპიუტერული პროგრამის შექმნასა და ტესტირებასთან არის დაკავშირებული) აღიარება ხდება არამატერიალური აქტივების სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას შეუძლია აჩვენოს: პროგრამის დასრულების ტექნიკური შესაძლებლობა და რომ პროგრამა მზად იქნება გამოყენებისთვის ან გასაყიდად; მისი (კომპანიის) მიზანი დაასრულოს და შესაძლებლობა გამოიყენოს ან გაყიდოს აღნიშნული აქტივი; ასევე, როგორ მოახდენს აქტივი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანას; პროგრამის დასრულებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა, რომ პროგრამის შემუშავების / შექმნის პროცესში გაწეული დანახარჯები მისაღები სიზუსტით შეფასდეს. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა, მათი გაწვევითანავე, სხვა ხარჯების ნაწილში ხდება.

მარაგები

მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს (ან ნივთებს). მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. ბასს 39 (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) ჩანაცვლებულია ფასს 9-ით (ფინანსური ინსტრუმენტები) 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, სადაც თავმოყრილია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ყველა სამი ასპექტი: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება; და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ფასს 9 რეტროსპექტულად გამოიყენა. სტანდარტის პირველად გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვისთვის გამოყენებულ კომპანიის ბიზნესმოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, თავდაპირველად კომპანია ფინანსურ აქტივს აფასებს მისი რეალური ღირებულებით პლუს, მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით არ შეფასებული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გარიგების ხარჯები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, ფასს 15-ში განსაზღვრული გარიგების ფასით შეფასდება.

იმისთვის, რომ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით კლასიფიცირდეს და შეფასდეს, საჭიროა ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობა, როგორიცაა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. ასეთი შეფასება მოხსენიებულია, როგორც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდების შემოწმება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ფინანსური აქტივების გაყიდვის თუ ორივეს შედეგად წარმოიქმნა. ფინანსური აქტივების ყიდვა ან გაყიდვა, რაც ბაზარზე აქტივების რეგულაციით ან კონვენციით დადგენილ ვადებში მიწოდებას მოითხოვს (რეგულარული ვაჭრობა), ვაჭრობის თარიღით, ანუ, იმ თარიღით აღიარდება, როდესაც კომპანია აქტივის ყიდვას ან გაყიდვას განახორციელებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად კლასიფიცირდება:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები);
- მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე რელევანტურია. კომპანია ფინანსური აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, როგორიცაა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა.

ფინანსური აქტივი შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურებას ექვემდებარება. მოგება და ზარალი აღიარდება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება გაუქმდება, შეიცვლება ან გაუფასურდება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას მოიცავს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გრძელვადიან აქტივებად კლასიფიცირდება.

ფინანსური აქტივის (ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარება თავდაპირველად წყდება (ანუ, კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პოზიციიდან იშლება) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს ვადა გაუვა; ან
- კომპანია გაასხვისებს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ფულად ნაკადებს სრულად, არსებითი დავალიანების გარეშე, მესამე პირს გადაუხდის; და კომპანია (ა) ასევე გაასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს; ან (ბ) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც გაასხვისებს და არც შეინარჩუნებს, მაგრამ გაასხვისებს მათზე კონტროლს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის სხვაობას. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებისთვის წარდგენილი სხვა დამატებითი უზრუნველყოფის საგნის (რაც სახელშეკრულებო პირობების განუყოფელი ნაწილია) რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება მომდევნო 12 თვეში დეფოლტის შემთხვევით წარმოქმნილი საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. აქედან გამომდინარე, კომპანია საკრედიტო რისკში მიმდინარე ცვლილებებს თვალყურს არ ადევნებს, ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყოველი ანგარიშგების დღეს აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეზერვის მატრიცა, რომელიც მორგებულია მის დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ საპროგნოზო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრული წარმოებულები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება მათ კლასიფიკაციაზეა დამოკიდებული, როგორც ქვემოთ არის აღწერილი:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება გადარიცხული (გზაში მყოფი) ნაღდი ფულის ნაშთისგან, სალაროს ნაღდი ფულის ნაშთისგან, ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომლებსაც განთავსებიდან სამი თვის ვადა აქვს, რომელთა დაუყოვნებლივ კონვერტირება შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს და თავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს გაქვითვასთან დაკავშირებულ გზაში მყოფ ფულად სახსრებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. გაქვითვასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის ნაშთები წარმოდგენს პირის მიერ გადახდილ ნაღდ ფულს, რომელიც განთავსებულია თვითმომსახურების ტერმინალებში ან სალაროებში, ან გადარიცხულია კომპანიის საბანკო ანგარიშზე ასეთი თვითმომსახურების ტერმინალებიდან ან სალაროებიდან. პირის მიერ თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით გადახდის განხორციელების პარალელურად, ბანკი, რომელიც დაკავშირებული მხარეა, გადარიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტთან, რასაც კომპანია აღიარებს ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავალიანების სახით. ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები თავდაპირველად განთავსდება იმ ბანკში გახსნილ კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რომელიც დაკავშირებული მხარეა, და შემდგომ გამოიყენება ამ ბანკის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება.

მიმართ დამუშავების ვალდებულებების შესრულების საფასურის გადასახდელად მომდევნო სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისთვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების გათვალისწინებით. აქტივის გამოყენების უფლება იცვითება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის პერიოდის ან აქტივის სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- შენობა -----იჯარის ვადა.

აქტივის გამოყენების უფლება ექვემდებარება გაუფასურებას.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-18 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში აღირიცხება, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, იმის მიუხედავად, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში, შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რაც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოეშვებათ. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების. კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს რათა მოახდინოს იჯარის გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც წარმოადგენს იდენტიფიცირებული აქტივზე უფლებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის. საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებით, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში, დადისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანიის ზღვრული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საიჯარო გადახდები, მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს; თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას. ცვლადი საიჯარო გადახდები რომელიც დამოკიდებული არ არის ინდექსებზე ან განაკვეთებზე აღიარდება ხარჯად, ხარჯის გაწევის პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელების მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიის ბიზნესი მოიცავს მომხმარებლებისთვის საღაროების ან თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით გადახდის მომსახურების გაწევას და თვითმომსახურების ტერმინალების ტექნიკურ მომსახურებას. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა იმ ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომელსაც კომპანია ელოდება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ეს უმთავრესია თავისი შემოსავლების აღრიცხვაში.

ფასს 15 საწარმოებს ავალეს, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია ნაადრევად გადავიდა ფასს 15-ზე - *ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* - საწყისი გადასვლის თარიღად აღებულია 2016 წლის 1 იანვარი.

შემოსავლების აღიარებამდე, აუცილებელია ასევე აღიარების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

ოპერაციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ოპერაციების დამუშავების მომსახურებას, რაც მოიცავს მოვაჭრე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ პირისგან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას თვითმომსახურების ტერმინალის ან საღაროს მეშვეობით და ამ თანხების შემდგომ გადარიცხვას დაკავშირებული მხარის ბანკში, რომელიც იმავდროულად ურიცხავს თანხას მოვაჭრე სუბიექტებს თვითმომსახურების ტერმინალის ან საღაროს მეშვეობით მომხმარებლის მიერ გადახდის ოპერაციის დასრულებისას. ოპერაციების დამუშავებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება ოპერაციის ღირებულების გარკვეული პროცენტის ან დამოუკიდებლად

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

თითოეული ოპერაციისთვის განსაზღვრული საფასურის ოდენობით. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია ტექნიკურ მომსახურებას უწევს ბანკს, რომელიც დაკავშირებული მხარეა და საკუთარი თვითმომსახურების ტერმინალები გააჩნია. კომპანია იღებს კონკრეტული აღჭურვილობის შეკეთების ვალდებულებას გაუმართაობის შემთხვევაში, რისთვისაც ყოველთვიურ ანაზღაურებას იღებს თითოეული თვითმომსახურების ტერმინალის შემთხვევაში. შესაბამისად, ტექნიკური მომსახურებიდან შემოსავალს კომპანია იღებს ტექნიკური მომსახურების გაწევის მზაობისთვის მითითებულ დროის მონაკვეთში, და არა რეალურად გაწეული ტექნიკური მომსახურების შესაბამისად. მზაობის ვალდებულება სრულდება და შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში დროის გასვლის შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული და დებიტორული დავალიანების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების მიღების მიზნით. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს.

უცხოური ვალუტის გადაფასება

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო სავალუტო კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის მიერ დადგენილ სავალუტო კურსს შორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 3.0976 და 3.2766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

Covid 19-თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები ქირავნობის შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ ცვლილებები ფასს 16-ში

2020 წლის 28 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ გამოსცა Covid-19-თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები - ცვლილება ფასს 16-ის იჯარაში. ცვლილებები უზრუნველყოფს მოიჯარეების თავისუფლებას ფასს 16-ის მითითებების გამოყენებისგან იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვის შესახებ იჯარის შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება Covid-19 პანდემიიდან გამომდინარე. პრაქტიკაში შესაძლოა, მოიჯარე აირჩიოს, რომ არ შეაფასოს არის თუ არა მეიჯარისგან Covid-19-თან დაკავშირებული ქირავნობის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც აკეთებს ამ არჩევანს, ისევე აღრიცხავს ნებისმიერ ცვლილებას იჯარის გადახდებში, რომლებიც გამოწვეულია Covid-19-ის იჯარის შეღავათებიდან, როგორც აღრიცხავდა ცვლილებას ფასს 16-ის სტანდარტებიდან გამომდინარე, თუ ეს ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია.

შესწორება გამოყენება გამიზნული იყო 2020 წლის 28 მაისამდე, თუმცა Covid-19-ის პანდემიის გავლენის გაგრძელების გამო, 2021 წლის 31 მარტს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ გაახანგრძლივა შესწორების გამოყენების პერიოდი 2022 წლის 30 ივნისამდე. ცვლილება ვრცელდება საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელიც დაიწყო 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ მიუღია Covid-19-თან დაკავშირებული იჯარის შეღავათები, მაინც გეგმავს, რომ გამოიყენოს ეს მეთოდი იმ შემთხვევაში, თუ ეს პრაქტიკა მიზანშეწონილი იქნება აღნიშნულ პერიოდში. არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნულ დამატებას ექნება რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია შეიმუშავებს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებს, ვარაუდებს და დაშვებებს მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელმოვლენებსაც. მომავალში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული. გაუფასურების და ამორტიზაციის ხარჯები წარმოდგენილია მე-6 და მე-7 შენიშვნებში შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ფასს 9 ხელმძღვანელობას ავალდებულებს მთელი რიგი გადაწყვეტილების (განსჯის), დაშვების და შეფასების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე. შეფასებები და გადაწყვეტილებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებას. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას თავის ყველა ფინანსურ აქტივზე და ასახავს მოსალოდნელ ზარალს მათზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა, რომელიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, არის სხვაობა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში კომპანიასაქვს მნიშვნელოვანი ოპერაციები მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის, კომპანია იყენებს სააღრიცხვო შეფასებებს და განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ოპერაციის განხორციელებისას. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თვითმომ. ტერმინ. და სათად. ნაწილები	ავეჯი და მოწყობილობები	კომპიუტ. ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპ. საშუალებები	იჯ. აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება							
31 დეკემბერი 2019	16,524	78	549	727	385	9	18,272
შემოსვლები	424	3	99	385	7	1,357	2,275
გასვლები	(18)	-	-	-	-	(4)	(22)
შიდა გადაადგილება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერები	(213)	-	(190)	(29)	(147)	-	(579)
31 დეკემბერი 2020	16,717	81	458	1,083	245	1,362	19,946
შემოსვლები	71	6	75	409	-	-	561
გასვლები	(796)	-	-	(5)	-	-	(801)
შიდა გადაადგილება	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერები	-	-	(38)	(2)	(13)	(2)	(55)
31 დეკემბერი 2021	15,992	87	495	1,485	232	1,360	19,651
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2019	7,929	19	249	122	178	7	8,504
წლის ცვეთის ხარჯი	1,659	5	113	156	76	51	2,060
გასვლები	(118)	-	-	(14)	-	(4)	(136)
ჩამოწერები	-	-	(188)	(15)	(147)	-	(350)
31 დეკემბერი 2020	9,470	24	174	249	107	54	10,078
წლის ცვეთის ხარჯი	1,643	8	92	247	48	136	2,174
გასვლები	(449)	-	-	(5)	-	-	(454)
ჩამოწერები	-	-	(38)	(1)	(13)	(2)	(54)
31 დეკემბერი 2021	10,664	32	228	490	142	188	11,744
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
31 დეკემბერი 2019	8,595	59	300	605	207	2	9,768
31 დეკემბერი 2020	7,247	57	284	834	138	1,308	9,868
31 დეკემბერი 2021	5,328	55	267	995	90	1,172	7,907

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა
31 დეკემბერი 2019	817
შეძენა	9
31 დეკემბერი 2020	826
შეძენა	11
31 დეკემბერი 2021	837
დაგრივლი ცვეთა	
31 დეკემბერი 2019	508
შეძენა / (ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვა)	124
31 დეკემბერი 2020	632
შეძენა / (ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვა)	122
31 დეკემბერი 2021	754
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	309
31 დეკემბერი 2020	194
31 დეკემბერი 2021	83

8. მარაგები

მარაგები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31-12-2021	31-12-2020
სათადარიგო ნაწილები *	1,137	886
სხვა	533	195
სულ მარაგები	1,690	1,081

* ჩამოწერილი სათადარიგო ნაწილები შედის სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში, როგორც ეს მოცემულია მე -16 შენიშვნაში.

9. დებიტორული დავალიანება

დებიტორულ იდავალიანება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31-12-2021	31-12-2020
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-20 შენიშვნა)	944	842
სხვა მოთხოვნები	451	478
	1,395	1,320
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(141)	(68)
სულ დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,254	1,252

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. მათი გადახდის ვადები 5- დან 25 კალენდარულ დღემდე მერყეობს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 141 ლარის საბალანსო ღირებულების დებიტორული დავალიანება გაუფასურდა (2019: 68 ლარი).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31-12-2021	31-12-2020
გაქვითვასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები	54,148	34,142
გაქვითვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები განთავსებული ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა (მე-20 შენიშვნა)	-	11
ნაღდი ფული სალაროში	1,199	1,117
ფულადი სახსრები განთავსებული ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა (მე-20 შენიშვნა)	403	1,309
ფულადი სახსრები განთავსებული ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარე არ არის	1	1
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46,751	36,580

გაქვითვასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები წარმოადგენს ფიზიკური პირებისგან მიღებულ ნაღდ ფულს, ამ ფულის იმ ბანკის ანგარიშზე განთავსების მომენტამდე, რომელიც დაკავშირებული მხარეა. საოპერაციო ციკლის შესაბამისად გაქვითვასთან დაკავშირებული გზაში მყოფი ფულადი სახსრები შესაძლოა განთავსებული იყოს თვითმომსახურების ტერმინალებში მათ მოკრებამდე (2021 და 2020 წლები: 27,470 ლარი და 23,701 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით) ან ბანკში (დაკავშირებული მხარე) მათ დათვლამდე და შესაბამის ანგარიშზე განთავსებამდე (2021 და 2020 წლები: 17,678 ლარი და 10,441 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით).

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 2018 წლის 11 აპრილს, კომპანიამ ახალი საბანკო ანგარიში გახსნა ნომინალურ მფლობელობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოყოფილია საკუთარი სახსრებიდან და არ შეიძლება მისი გამოყენება კომპანიის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამ კანონიდან გამომდინარე, კომპანიამ გადაწყვიტა, დაკავშირებული მხარის საბანკო ანგარიშზე არსებული გაქვითვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები გაქვითოს შესაბამის კრედიტორულ დავალიანებაში (შენიშვნა 12), 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

11. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სრულად შეტანილი 15,244 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. 2021-2020 წლებში დივიდენდები არ გაცხადებულა და არც განაწილებულა. კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

12. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შემდეგს:

	31-12-2021	31-12-2020
გაქვითვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-20 შენიშვნა)	46,375	35,456
თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები	373	302
სხვა კრედიტორული დავალიანება	441	168
სულ კრედიტორული დავალიანება	47,189	35,820

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ზომიერად მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

13. იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე.

კომპანიას გაფორმებული აქვს სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობის საიჯარო ხელშეკრულებები, რომელსაც საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში იყენებს. შენობა-ნაგებობების იჯარების ვადები განისაზღვრება როგორც 1-5 წელი.

კომპანიას ასევე აქვს გარკვეული შენობა-ნაგებობების იჯარები, რომელთა საიჯარო ვადაა 12 თვე ან ნაკლები და ასევე დაბალი-ღირებულების მქონე იჯარები. კომპანია იჯარების აღრიცხვისას იყენებს მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების აღიარებიდან განთავისუფლებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საბალანსო ღირებულებები აქტივის გამოყენების უფლებების და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

	შენობა-ნაგებობები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი 2019	352
დამატებები	33
გასვლები	(57)
31 დეკემბერი 2020	328
დამატებები	352
გასვლები	(274)
31 დეკემბერი 2021	406
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2019	89
ცვეთის ხარჯი	163
გასვლები	(59)
31 დეკემბერი 2020	193
ცვეთის ხარჯი	174
გასვლები	(274)
31 დეკემბერი 2021	93
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
31 დეკემბერი 2019	263
31 დეკემბერი 2020	135
31 დეკემბერი 2021	313

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საბალანსო ღირებულებები საიჯარო ვალდებულებების და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

31 დეკემბერი 2019	261
შემოსვლები	32
გასვლები	(5)
დარიცხული პროცენტი	18
საკურსო სხვაობის ეფექტი	37
გადახდები	(162)
31 დეკემბერი 2020	181
შემოსვლები	348
გასვლები	-
დარიცხული პროცენტი	5
საკურსო სხვაობის ეფექტი	9
გადახდები	(205)
31 დეკემბერი 2021	338

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. იჯარები (გაგრძელება)

ფასს 16 -ის მიხედვით აღიარებისაგან გათავისუფლებული საიჯარო კონტრაქტების შესაბამისი საიჯარო ხარჯები მოცემულია მე-16 განმარტებითი შენიშვნის მუხლში: „იჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი სივრცით ან არარსებული ხელშეკრულებით“, ხოლო აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია კი სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლ „ცვეთა და ამორტიზაციაში“

14. მიღებული სესხი

კომპანიის მიღებული სესხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	31-12-2021	31-12-2020
		ლარი	ლარი
სს დიდი-დიდის კვლევითი ცენტრი	11%		
სულ მიღებული სესხები წლის განმავლობაში		1,050	700
ძირის ნაშთი წლის ბოლოსთვის		538	424
საპროცენტო გადასახდელი წლის ბოლოსთვის		5	4
სულ მიღებული სესხების ნაშთი წლის ბოლოსთვის:		543	521

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2019	521
სესხის თანხის ზრდა	100
წლის საპროცენტო ხარჯი	52
ძირი თანხის დაფარვა	(192)
გადახდილი პროცენტი	53
31 დეკემბერი 2020	428
სესხის თანხის ზრდა	350
წლის საპროცენტო ხარჯი	39
ძირი თანხის დაფარვა	(236)
გადახდილი პროცენტი	(40)
31 დეკემბერი 2021	543

15. ამონაგები მოხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია თავის მომხმარებლებს, მაგ. სს „საქართველოს ბანკს“, სთავაზობს ქსელური ოპერაციების მომსახურებას, ტექნიკურ მომსახურებასა და ოპერაციების დამუშავების მომსახურებას, რასაც ახორციელებს თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის მეშვეობით, ხოლო სხვა კლიენტების შემთხვევაში - სალაროების საშუალებით. კომპანიის შეფასებით მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი აქტივები და ვალდებულებები:

	31-12-2021	31-12-2020
დებიტორული დავალიანება	1,254	1,252

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

კომპანია იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ დაგროვილ ოდენობაზე, რადგან კომპანიას უფლება აქვს მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის საზღაური, რომელიც პირდაპირ შეესაბამება კომპანიის მიერ კონკრეტული თარიღისთვის მომხმარებლის მიმართ შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	2021	2020
სხვა საოპერაციო შემოსავალი	310	304
სარემონტო მომსახურების გაწევიდან და აღჭურვილობის გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება	-	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	310	304
	2021	2020
გამოყენებული მატერიალურ-საწარმოო მარაგების ღირებულება *	(3,084)	(3,324)
რემონტი და ტექმომსახურება	(1,263)	(920)
იჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი სივრცით ან კონტრაქტის გარეშე	(484)	(400)
მოპარული და დაზიანებული კუპონები	(72)	(368)
მცირეფასიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(421)	(362)
საკომუნიკაციო ხარჯი	(343)	(311)
ფულის აკრეფის ხარჯი	(306)	(303)
საოპერაციო	(110)	(168)
ელექტროენერგიის ხარჯი	(199)	(135)
კომუნალური ხარჯი	(83)	(65)
საკომისიოები	(110)	(52)
მოთხოვნის რეზერვის ხარჯი	(73)	(33)
აუდიტის ხარჯები	(24)	(21)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-
საწვავის ხარჯი	(830)	(307)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(230)	(174)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(7,632)	(6,943)

* 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის გამოყენებულ მატერიალურ-საწარმოო მარაგების ღირებულებაში შედის გამოყენებული ნაწილები, რომელთა ღირებულებაა 0 ლარი (2020 წელს 1,398 ლარი), ისინი ჩამოწერილია 2021 წლის განმავლობაში გადახდის ტერმინალების დეტალური ინსპექტირების შემდეგ.

17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2021	2020
ხელფასები და სხვა სარგებელი	(4,193)	(4,193)
ფულადი პრემიები	(141)	(141)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,334)	(4,334)

18. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან, 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტის მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის***(თანხები მოცემულია ათას ლარში)***17 დაბეგვრა (გაგრძელება)**

საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად გააუქმა თავისი გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ბასს 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით შეაფასოს, რომელიც გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან. 2020 და 2019 წლებში, კომპანიას მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პირობებში, კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისი მომხმარებლები, კლიენტები ან მონაწილე მხარეები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- **ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები**

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ 403 ლარი და 1,309 ლარი განათავსა ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა და რომელსაც Standard & Poor's - გან მინიჭებული აქვს BB/B რეიტინგი, Moody's კომპანიისგან - B1/NP (FC) & Ba2/NP (LC) რეიტინგი, ხოლო Fitch Ratings კომპანიისგან - BB- /B რეიტინგი.

- **დებიტორული დავალიანება**

კომპანიის დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებისგან, მათთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნული მოთხოვნები ძირითადად ლარშია გამოხატული და მათი ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეს შეადგენს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 141 ლარის თავდაპირველი საბალანსო ღირებულების დებიტორული დავალიანება გაუფასურდა და სრულად არის გათვალისწინებული

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ხელმძღვანელობა.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფაქტორების, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე

სავალუტო რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. კომპანიას სავალუტო რისკი ექმნება ძირითადად აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მიუთითებს იმ ვალუტებზე, რომლებთან მიმართებითაც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი მისი ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თვალსაზრისით 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგებაში ან ზარალში ყველა სხვა პირობა უცვლელია. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას. დაბეგვრამდე კაპიტალის ეფექტი უტოლდება დასაბეგრ მოგებას, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები.

	2021		2020	
	სავალუტო კურსის ზრდა / (კლება)	დასაბეგრ მოგებაზე გავლენა	სავალუტო კურსის ზრდა / (კლება)	დასაბეგრ მოგებაზე გავლენა
USD / GEL	+10%	5	+10%	(7)
USD / GEL	-10%	(5)	-10%	7
EUR / GEL	+15%	2	+15%	5
EUR / GEL	-15%	(2)	-15%	(5)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა კავშირის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება ისეთი გარიგებები აწარმოონ, როგორსაც არ აწარმოებდნენ დაუკავშირებელი მხარეები, და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება განხორციელდა საბაზრო პირობების მკაცრად დაცვით.

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციებისა და ნაშთების ოდენობა ასეთია:

	2020		2019	
	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	1,320	-	414
დებიტორული დავალიანება	-	842	44	719
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-	28
	-	2,162	44	1,161
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	39	35,456	28	25,622
საიჯარო ვალდებულებები	73	-	129	-
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	521
	112	35,456	157	26,143

დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისგან“ ოპერაციის დამუშავების მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, რომელთა გადახდის ვადა 5-დან 25 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისთვის“ გაქვითვასთან დაკავშირებულ ვალდებულებების თანხებს, რომლებსაც ბანკი თავდაპირველად ურიცხავს კლიენტ სუბიექტებს, ფიზიკური პირების მიერ თვითმომსახურების ტერმინალის ან სალაროს მეშვეობით გადახდის განხორციელების პარალელურად. ასეთი კრედიტორული დავალიანება, ჩვეულებრივ, 3 სამუშაო დღის ვადაში იფარება.

	2021		2020	
	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები
შემოსავლები				
შემოსავალი ოპერაციის დამუშავების მომსახურებიდან	-	8,544	-	10,217
შემოსავალი ტექნიკური მომსახურებიდან	-	1,289	-	1,416
	-	9,833	-	11,559
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან (ა)	-	-	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	22	-	22
	-	22	-	22
შესყიდვები და ხარჯები				
სხვა საოპერაციო ხარჯები	435	555	332	509
	435	555	332	509
სხვა				
ფინანსური ხარჯი	4	41	7	52
	4	41	7	52

* მშობელი კომპანიის სვეტი შედგება ნაშთებისგან და მშობელ კომპანიასთან - სს "ჯორჯიან ქარდ", ასევე შუალედურ მშობელი კომპანიასთან - სს „ექსპრეს ტექნოლოჯის“ ბრუნვისაგან.

- (ა) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში, ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ წმინდა მოგების ნაწილში.
- (ბ) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სხვა საოპერაციო შემოსავალში, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში. 2021 და 2020 წლებში ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 154 ლარი და 94 ლარი, შესაბამისად.

21. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წლის 25 მარტს კომპანიამ მიიღო სესხი შპს დიდი დილმის კვლევითი ცენტრისაგან 200 ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13.20%;

2022 წლის 21 აპრილს კომპანიამ მიიღო სესხი სს ექსპრეს ტექნოლოჯისგან 500 ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 13,20% და სრულად დაფარა 2022 წლის 6 მაისს;

კომპანიამ ხელახლა მიაღწია შეთანხმებას ძირითადი საქმიანობის (ტრანზაქციები თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის მეშვეობით) საფასურზე და შეცვალა უცვლელი განაკვეთიდან 0,13 ლარიდან ერთ ტრანზაქციაზე მრავალგანზომილებიან გადასახადის განაკვეთით, რომელიც შედგება: 0,13 ლარი ტრანზაქციაზე დამატებული ცვლადი გადასახადი ტრანზაქციების მოცულობების მიხედვით.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ ყოფილა სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას.

კომპანიის მმართველობის ანგარიშგება
დაირექტ დებიტ ჯორჯია



2021

შესავალი

წარდგინება დირექტორისაგან

გასული ორი წელი, 2020-2021წწ, მსოფლიო მასშტაბით ბევრ გამოწვევასა და სირთულესთან ასოცირდება, მიუხედავად ამისა „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-მ შეძლო სტაბილური განგრძობადი ზრდის შენარჩუნება ეფექტურობისა და ხარისხის მიმართულებით.

პანდემიის პირობებში ჩვენთვის არსებითად პრიორიტეტული იყო უწყვეტი საგადახდო მომსახურების უზრუნველყოფა და უსაფრთხო გადახდის არხების მობილიზება საზოგადოებისათვის.

განვლილი წლის მმართველობის ანგარიშგებით წარმოგიდგენთ კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმოხილვას, ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაფუძნებულ მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივას. აქვე განხილულია ის ბიზნეს რისკები, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და დასაქმებულთათვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნას. ანგარიშგებაში წარმოჩენილი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ სტაბილურობა ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია, თუმცა მომავლისათვის აუცილებლად ვგეგმავთ მნიშვნელოვან და დადებით ცვლილებებს.

საქმიანობის მიმოხილვა

ჩვენს შესახებ

„დაირექტ დებიტ ჯორჯია“ 2006 წლის 7 მარტს ჩამოყალიბდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს გადახდის მომსახურებას სპეციალიზირებული სალაროების მეშვეობით, ასევე თვითმომსახურების ტერმინალების ხაზსა და მის სრულ ტექნიკურ მხარდაჭერას.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ჯორჯიან ქარდი“ (შემდგომში - „მშობელი კომპანია“), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს 2018 წლის ივნისიდან წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ - გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული კომპანია, რომელიც დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე საჯარო ვაჭრობაში.

კომპანიის შექმნის მიზანს დასაწყისშივე წარმოადგენდა ქართულ საგადახდო სისტემაში რევოლუციური გადაწყვეტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი სტანდარტების დამკვიდრება. ჩვენი სერვისები კლიენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ გადახდის თანამედროვე არხებით, შეამცირონ საოპერაციო ხარჯები, დახვეწონ რისკების მართვა და ამასთან კლიენტზე მორგებულ მიდგომასთან ერთად ჩვენ უპირატესობას წარმოადგენს მომხმარებელთა პირადი მონაცემებისა და მათი ქონების ეფექტური დაცვა.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

მოკლე ფინანსური მიმოხილვა

კომპანია შედის Bank of Georgia Group PLC -ს სტრუქტურაში, რომელიც ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსებიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია. 2018 წელს მოხდა პირველი ფასს სტანდარტებთან შესაბამისად აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება რომელიც მოიცავდა 2015-2018 წლის შედეგებს. 2018 წლის დეკემბერში კომპანიამ შეიცვალა აუდიტორული მომსახურების მომწოდებელი და აუდიტს მას მერე აწარმოებს შპს ნექსია თიეი-მ. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია 2021-2020 წლებისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2021	2020
სულ აქტივები	58,190	49,737
სულ კაპიტალი	9,986	13,166
სულ ვალდებულებები	48,204	36,571
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	58,190	49,737

	2021	2020
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
სულ შემოსავალი	11,746	11,863
სულ საოპერაციო ხარჯები	(14,906)	(13,618)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(3,160)	(1,755)
სხვა ფინანსური შედეგები	(20)	(36)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაგვრამდე	(3,180)	(1,791)
მოგების გადასახადის სარგებელი	-	-
წლის მოგება/(ზარალი) და სრული შემოსავალი/(ზარალი)	(3,180)	(1,791)

სამომავლო განვითარების გეგმები


კომპანია 2006 წლიდან აქტიურად ზრდის საგადახდო არხების რიცხვსა და მომსახურების არეალს რიცხვს. ყოველწლიურად უფრო და უფრო ხელშესახები ხდება ჩვენი მიზანი ყველა ტერიტორიული ერთეულის უზრუნველყოფა ისეთი სერვისებით, რომლებიც განუყოფელია ყოველდღიური ცხოვრებისაგან და მოსახლეობის უმრავლესობისათვის კომფორტის, უსაფრთხო და სწრაფი საგადახდო მომსახურების გარანტია.

ბოლო წლების განმავლობაში საგადახდო არხების რაოდენობა სტაბილურად იზრდება, ამასთან თანხობრივი ბრუნვა 3 ჯერ გაიზარდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენი მიზანია ბიზნესის განვითარების პირობებში შევინარჩუნოთ აღნიშნული მაჩვენებლები, ხარისხისა და ეფექტურობის ზრდასთან ერთად.

თვითმომსახურების ტერმინალები



წლიური გადახდების თანხების ბრუნვა მილიონ ლარში



საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რას ვსაქმიანობთ (გაგრძელება)

სამომავლო განვითარების გეგმები (გაგრძელება)

საგადახდო არხების რაოდენობისა და თანხობრივი ბრუნვის სტაბილურად შენარჩუნების პარალელურად, აუცილებლად მიგვაჩნია არსებული ინფრასტრუქტურის არსებითი გაუმჯობესება. თვითმომსახურების ტერმინალების, როგორც მოწყობილობის აქტუალობა პირდაპირ კავშირშია მის ტექნიკურ გამართულობასა და ცვეთის სისწრაფესთან. ვცდილობთ აღნიშნული კომპონენტების მართვა უფროდაუფრო ეფექტური, ეკონომიური და მომგებიანი გავხადოთ.

ამ მიზნის მიღწევისათვის ხდება მეტი ადამიანური რესურსის მობილიზება და მომწოდებლებისა და ვენდორების მკაცრი პოლიტიკის მიხედვით შერჩევა.

რისკ-ფაქტორები

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად.

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა ვადამოსული ფინანსური ვალდებულების დაფარვას. კომპანიის ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ხელმძღვანელობა.

2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არა დისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

კომპანია ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და არასდროს დამდგარა დეფოლტის წინაშე. კომპანია მომავალშიც შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

პანდემია და საერთაშორისო კრიზისი

პანდემიის მიერ გამოწვეული ვითარება გავლენას ახდენს არა მხოლოდ საქართველოზე და კონკრეტულ ბიზნესზე, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე. პანდემიასთან ბრძოლის მიზნით უამრავმა სახელმწიფომ გაატარა სპეციალური ღონისძიებები და ამოქმედდა საგანგებო მდგომარეობა.

პანდემიისა და მისი თანმდევი კრიზისის გავლენა კომპანიაზე არ არის საგანგაშო, ვინაიდან, მიუხედავად საგანგებო მდგომარეობისა, საგადახდო სერვისის უწყვეტობა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი ნაწილია. შესაბამისად, კომპანია საგანგებო მდგომარეობის სრულ პერიოდში წარმოადგენდა ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს.

ქონებრივი დანაშაულები


კომპანიის თვითმომსახურების ტერმინალები მოიცავს მრავალ ლოკაციას და დღის განმავლობაში მათი საშუალებით სრულდება ათასობით ტრანზაქცია, დღის ბოლოსათვის საფრთხეს წარმოადგენს ტერმინალები, რომლებშიც თანხის მოკრება არ მომხდარა. ბოლო წლების განმავლობაში კომპანიამ განიცადა ფინანსური დანაკარგი ასეთი ტერმინალების გამარცხით, თუმცა შიდა კონტროლისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეულის გაძლიერებით შესაძლებელი გახდა მსგავსი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა.

ხშირ შემთხვევებში, ზოგადი კრიმინოგენური ვითარება გავლენას ახდენს კომპანიის ქონების უსაფრთხოების პოტენციალზე, თუმცა ამ მიმართულების პრევენციის მიზნით აქტიურად მუშაობენ კომპანიის ოპერატიული დანაყოფები, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ ხდება, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გზით კომპანია ცდილობს გამოძიების წარმატებით დასრულებას შეუწყოს ხელი.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ქონებრივი დანაშაულები (გაგრძელება)

სამწუხაროდ დანაშაულისა და კრიმინალის რისკ-ფაქტორების სრულიად აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ის კლების ტენდენცია, რომელიც შეინიშნება ბოლო წლებში თვითმომსახურების ტერმინალების გაძარცვის მხრივ.



თაღლითობის პრევენცია

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად.

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კომპანია არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მასშტაბური კიბერ შეტევების მიუხედავად, კომპანიას არც ერთხელ არ შეხებია მავნე ვირუსი, რომელიც კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის დაზიანებას ან გაჟონვას გამოიწვევდა.

ფულის გათეთრებასა და ტერორიზმთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო ეთიკის სტანდარტებთან და გამორიცხოს ნებისმიერი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციაზე და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისთვის.

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულის გათვთრებასა და ტერორიზმთან ბრძოლა (გაგრძელება)

კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა ჩვენი საგადახდო არხების ან ჩვენი საქმიანობის ხელშეწყობით.

ცვალებადი სამართლებრივი რეგულირების გარემო

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერია, ამასთან იგი წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკის“ საგადახდო მომსახურების აგენტს. შესაბამისად, ექვემდებარება ნორმებს, რომლებიც კონკრეტულად საგადახდო სისტემებსა და მომსახურებას არეგულირებს.

საგადახდო მომსახურების მომხმარებლის დასაცავად არამარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბებით იზრდება რეგულირების გამკაცრების მოთხოვნილება. რაც, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ იწვევს პროვაიდერებისათვის საოპერაციო საქმიანობის გართულებას.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრავს ორგანიზაციაში პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილებების განაწილებას. კომპანიის სტრუქტურა მიმართულია ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობის გაზრდისაკენ.

განვითარება და ცვლილებებთან ადაპტირების აუცილებლობა განაპირობებს სტრუქტურის პერიოდული გადახედვის საჭიროებას. სტრუქტურული მისადაგება შესაძლებელს ხდის მოხდეს პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაცია, მათი ფუნქციების უფრო მიზნობრივი გადანაწილება, მკაფიო იერარქიის ჩამოყალიბება, კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მაქსიმალური დაჩქარება და გამარტივება.

კომპანიის სტრუქტურის სათავეში დგას დირექტორი.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

დimitრი ლომჯარია „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ დირექტორად დაინიშნა 2020 წელს. მას აქვს საბანკო სფეროში მოღვაწეობის 15 წლიანი გამოცდილება. 2004-2019 წლებში მუშაობდა სს „საქართველოს ბანკი“-ს სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე.

მოპოვებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულებით. ასევე, წარმოადგენს გრენობლის ბიზნეს სკოლის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრს.

სტრუქტურის თავისებურებანი

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

სტრუქტურის თავისებურებანი (გაგრძელება)

სტრუქტურული დაყოფის მაგალითი



შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკისა და პროცედურების შესრულების, დადგენილი სტანდარტების დაცვის, რესურსების პროდუქტიულად, ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენების, ამოცანების შესრულებისა და კომპანიის დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, ეფექტურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა და მენეჯმენტისათვის ანგარიშის ჩაბარება არებული რისკების მართვის, კონტროლისა და მართვის პროცესების ადეკვატურობის შესახებ.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზაველი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

კომპანიის პოლიტიკები (გაგრძელება)

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექტიური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - „საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამოა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ჯორჯიან ქარდი“, რომელიც თავის მხრივ ეკუთვნის სს „ექსპრეს ტექნოლოჯის“, პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

ჩვენი გუნდი

2021 წლის მონაცემებით კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაა 330 (2020 წ- 286). უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების, მისი მასობრივი გავრცელებასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული ვალდებულებებზე შესაბამისი რეაგირების მიზნით შემუშავდა ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა

გეგმა ემყარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე, ასევე შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

გეგმა მოიცავს ახალი კორონავირუსით დაინფიცირების რისკების განსაზღვრასა და იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც უნდა გაატაროს კომპანიამ ამ რისკების აღმოსაფხვრელად.

მსოფლიოში COVID-19 ვირუსის გავრცელების პარალელურად დიდ გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება სამუშაო ადგილებზე, თუმცა „დაირექტ დეზიტ ჯორჯია“ მთელი წლის განმავლობაში მკაცრად მისდევდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს, გარდა ამისა, თანამშრომელთა დიდი ნაწილი განაგრძობდა მუშაობას დისტანციურ რეჟიმში.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

დიმიტრი ლომჯარია

